ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №3490/15-2011

(სასამართლო-საექსპერტო მომსახურებაზე)

ქ. ქუთაისი — —13.10.2011 წ.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ჩვენ, ერთის მხრივ ს.ს.ი.პ. – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასავლეთ საქართველოს რეგიონული დეპარტამენტი (შემდგომში - შემსრულებელი), დეპარტამენტის უფროსის **კობა ახვლედიანის** სახით, მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, და მეორეს მხრივ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ კვახჭირის საჯარო სკოლის დირექტორის ლია ჩხიკვაძის (შემდგომში-შემსყიდველი) სახით, გამარტივებული შესყიდვის გზით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულებისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე შპს „INVEST GROUP"-ის მიერ სკოლის შენობის მოწყობა –შეკეთების შესაბამისი საექსპერტო მომსახურების ჩატარება და ექსპერტის დასკვნის გაცემა

მუხლი 3. საექსპერტო მომსახურების ვადა

1. საექსპერტო ან სპეციალური მომსახურება იწყება შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის საექსპერტო მომსახურების ჩასატარებლად საჭირო მასალების წარდგენის მომდევნო დღიდან და მთავრდება 30 (ოცდაათი) სამუშაო დღეში.

2. მომსახურების შესრულების ვადაში არ ჩაითვლება დროის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მომსახურების გაწევა შეჩერებულია შემსყიდველის მიზეზით.

3. საექსპერტო სამუშაო მიწოდებულად ითვლება ექსპერტის დასკვნის შემსყიდველისათვის ჩაბარების (გადაცემის) მომენტიდან შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

მუხლი 4. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

1. ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს ღირებულება განისაზღვრება – საქართველოს მთავრობის 2011 წლის 13 მაისის №215 დადგენილებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფების საფუძველზე, ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს მოცულობის შესაბამისად.
2. მხარეთა შორის ანგარიშსწორება წარმოებს ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის წარდგენილი ანგარიშ-ფაქტურის და გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების შესაბამისად.